

Actio illicita in causa

Die *actio illicita in causa* ist weder im **deutschen** noch im **georgischen Strafgesetzbuch** vorgesehen. Man versteht hierunter eine Rechtsfigur, mit der bei einer pflichtwidrig herbeigeführten Rechtfertigungslage die Strafbarkeit nicht an die (gerechtfertigte) Verteidigungshandlung, sondern an die pflichtwidrige Herbeiführung der Rechtfertigungslage angeknüpft wird. Damit führt die *actio illicita in causa* – jedenfalls nach deutscher Sichtweise – zu einer Bestrafung trotz wirksamer Rechtfertigung. Insoweit ist z.B. gegen einen absichtlich provozierten Angriff die Notwehr zwar zulässig, der Handelnde macht sich jedoch wegen der vorhergehenden absichtlichen Verursachung der Tat strafbar. Die *actio illicita in causa* wird von der Rechtsprechung und der hM in der Literatur abgelehnt (klingt in Deutschland aber in BGH NJW 2001, 1075 durchaus an). Vielmehr wird bei der fahrlässigen oder anders vorwerfbaren Notwehprovokation nach überwiegender Ansicht sowohl in **Deutschland** als auch in **Georgien** das Notwehrrecht selbst eingeschränkt und der Rechtsgüterschutz nur nach der Dreistufentheorie zugelassen. Der Provozierende muss zuerst dem Angriff ausweichen oder fremde Hilfe holen. Wenn das Ausweichen nicht möglich ist, ist der Provozierende verpflichtet, sich auf die bloße Verteidigung (Defensivnotwehr, Schutzwehr) zu beschränken. Erst auf der dritten Stufe, darf der Provozierende bei einer gravierenden eigenen Gefahr auf die verletzend Abwehrhandlung übergehen. (Bhe/Kmt)

Actio illicita in causa

Actio illicita in causa არც გერმანულ და არც ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული არაა. ესაა სამართლებრივი ფიგურა, რომელიც გამამართლებელი გარემოების ვალდებულების დარღვევით გამოწვევისას დასჯადობას (გამართლებულ) თავდაცვით ქმედებას კი არა, არამედ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვალდებულების დარღვევით გამოწვევას უკავშირებს. ამგვარად, ყოველ შემთხვევაში, გერმანული შეხედულებით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის მიუხედავად, *actio illicita in causa*-ს დასჯადობამდე მივყავართ. მაგ., განზრახ პროვოცირებული თავდასხმისას, მართალია, აუცილებელი მოგერიება დაშვებულია, მაგრამ მომგერიებელი ქმედების (თავდასხმის) წინარე განზრახვი გამოწვევისათვის დაისჯება. Actio illicita in causa სასამართლო პრაქტიკის და ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით უარყოფილია (თუმცა გერმანიაში ფაქტიურად გაჟღერდა გადაწყვეტილებაში BGH NJW 2001, 1075). პირიქით, გაბატონებული მოსაზრებით, აუცილებელი მოგერიების გაუფრთხილებელი ან სხვაგვარად გასაკიცხი პროვოკაციისას როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოში თავად აუცილებელი მოგერიების უფლებაა შეზღუდული და სამართლებრივი სიკეთის დაცვა სამსაფეხურიანი თეორიის მიხედვითაა დაშვებული. პროვოკატორი თავდაპირველად თავდასხმას უნდა გაეცალოს ან სხვას მოუხმოს საშველად. თუ თავის არიდება

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

შეუძლებელია, პროვოკატორი ვალდებულია, მხოლოდ დაიცვას თავი (დეფენზიური აუცილებელი მოგერიება, დაცვითი მოგერიება). მხოლოდ მესამე საფეხურზე, პროვოკატორისათვის სერიოზული საფრთხის არსებობისას, აქვს მას ხელმყოფი დამცავი ქმედების განხორციელების უფლება. (Bhe/Kmt)